**შეფასება ...../ 40 ქულა** სახელი, გვარი .....

**VII კლასი**

(10 ქულა) 1. ***ყურადღებით წაიკითხეთ ტექსტი და შეასრულეთ დავალებები.***

## ახალი მოსწავლე

(ნაწყვეტი ჯემალ ქარჩხაძის რომანიდან "ქარავანი")

კლასში სიჩუმე იყო. ყველანი უცხო ბიჭს მისჩერებოდნენ.

ბოლოს დიდთავა გერონტიმ, რომელიც ერთხელ მესამე კლასში იყო დარჩენილი, ერთხელ - მეოთხეში და ერთხელაც - მეექვსეში, ყველას მაგივრობა იკისრა, უცნობს მიუახლოვდა და ჰკითხა:

- შენ ვინა ხარ?

- ადამიანი ვარ, - მიუგო ბიჭმა და ახლა თვითონ ჰკითხა: - აქ ზის ვინმე?

- არა, - უთხრა გერონტიმ, იგი ცოტა დაბნეული იყო, - შენ რა გქვია?

- მირიანი, შენ?

- გერონტი, - უთხრა გერონტიმ და გაწითლდა. იგი ყოველთვის წითლდებოდა, როცა სახელს ეკითხებოდნენ.

ამასობაში გაკვეთილიც დაიწყო. პირველი ისტორია ჰქონდათ. ისტორიის მასწავლებელს კლასის ხელმძღვანელი შემოჰყვა, ბავშვებს მიესალმა, ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით სიტყვა წარმოთქვა (კიკნაველიძემ ეს სიტყვაც ჩაიწერა და მერე, შარშან წარმოთქმულ სიტყვას რომ შეადარეს, ერთი წინადადება აღმოჩნდა შეცვლილი). ბოლოს თქვა:

- წელს ერთი მოსწავლე შემოგემატათ, - და მირიანს მიუბრუნდა: - გაიცანი უკვე ახალი ამხანაგები?

მირიანი წამოდგა.

- გავიცნობ თანდათან. ჯერჯერობით აგერ, ბიკენტი გავიცანი.

კლასში გამაყრუებელი სიცილი გაისმა. ისტორიის მასწავლებელი სწრაფად შეტრიალდა და ფანჯარაში დაიწყო ცქერა. კლასის ხელმძღვანელი დაძაბული ცდილობდა, სერიოზული სახე შეენარჩუნებინა. გერონტი ჭარხალივით გაწითლებული იჯდა, მომუშტული ხელები მერხზე ეწყო და სულელურად ახამხამებდა თვალებს. თვითონ მირიანი - მაღალი, უფერული, სათვალიანი - უცხოდ იდგა, გულგრილ სახეზე ოდნავი გაკვირვება ეხატა და ვერ მიმხვდარიყო, რომ ისტორიული შეცდომა დაუშვა, რომელიც კიდევ დიდხანს იცოცხლებდა მას შემდეგ, რაც თვითონ ამქვეყნად აღარ იქნებოდა.

სიცილი რომ მიწყნარდა, ხელმძღვანელმა აუხსნა:

- მაგას ბიკენტი კი არა, გერონტი ჰქვია.

- გერონტი? ა! დიახ, დიახ, გერონტი, - და ოდნავ მიტრიალდა გერონტისკენ, - მაპატიე, შემეშალა.

გერონტიმ გადაწყვიტა, არ ეპატიებინა. როგორც კი გაკვეთილი დამთავრდა, ხელები დემონსტრაციულად[1] დაიკრიფა მკერდზე და გამოზომილი ნაბიჯით მიუახლოვდა მოწინააღმდეგეს.

- შენ რა თავს იგდებ, თუ იცი?!

მირიანმა ნელა მიაბრუნა მისკენ თეთრი, გულგრილი სახე და ოდნავ აიჩეჩა მხრები.

- არ ვიცი.

გერონტი დაიბნა.

- რა არ იცი, თუ იცი?

მირიანმა უხმოდ შეხედა. ოდნავ ნაღვლიანი მზერა ჰქონდა, მაგრამ შიშისა არაფერი ეტყობოდა.

- შენ ვის იგდებ, რო იგდებ მასხრად?

გერონტი, რომ იტყვიან, მოთელვას გადიოდა. მაგრამ საწადელისთვის რომ მიეღწია, მირიანსაც უნდა გამოეჩინა ცოტაოდენი აქტიურობა. მირიანი კი აქტიურობას არ იჩენდა. მან მშვიდად და გულგრილად უთხრა:

[1] გამომწვევად.

- რა ვქნა, შემეშალა.

გერონტიმ ხელმოსაჭიდი ვერაფერი იპოვა და, ცოტა არ იყოს, იმედგაცრუებულმა უთხრა:

- ჰოდა, აწი აღარ შეგეშალოს, იცოდე!

მირიანს აღარ შეშლია, მაგრამ ამის საჭიროება აღარც იყო.

მეორე დღეს, გერონტი რომ საკლასო ოთახში შევიდა, დაფაზე დიდი ასოებით ეწერა: „ბიკენტი!!!" გერონტიმ დამწერს ხმამაღლა შეუკურთხა და წარწერა წაშალა. შემდეგი წარწერა მერხზე დახვდა. გერონტიმ ისიც წაშალა. ამ დროს ოთახში ვიღაცამ შემოიჭვრიტა და დაიძახა „ბიკენტიი!" და, თუმცა გერონტიმ სწრაფად მიიხედა, უკვე ვეღარავინ დაინახა. ხოლო, როცა მათემატიკის მასწავლებელმა დღიური მოსთხოვა და გერონტიმ დღიურის ყდაზე დიდი, წითელი მელნით დაწერილი „ბიკენტი" წაიკითხა, მართლა გაცოფდა, მაგრამ ახლა გაცოფებას აზრი აღარ ჰქონდა, რადგან ვისზე ეყარა ჯავრი, არ იცოდა.

**შეასრულე დავალებები:**

**(2 ქულა) 1.** თქვენი აზრით, განგებ დაუშვა თუ არა მირიანმა შეცდომა? პასუხი დაასაბუთეთ ტექსტის დახმარებით.

_____

_____

_____

_____

_____

**(2 ქულა) 2.** როგორ ფიქრობთ, შეეძლოთ თუ არა მასწავლებლებს უხერხული სიტუაცია განემუხტათ? პასუხი დაასაბუთეთ.

_____

_____

_____

**(6 ქულა) 5. გააანალიზეთ ტექსტი მოცემული მითითებების დახმარებით. ნაწერში გამოყავით აბზაცები:**

- იმსჯელეთ, რა თვისებებს ამჟღავნებს გერონტი ტექსტის სხვადასხვა ეპიზოდში.
- იმსჯელეთ, რა თვისებებს ამჟღავნებს მირიანი ტექსტის სხვადასხვა ეპიზოდში.
- იმსჯელეთ, თქვენ როგორ მოიქცეოდით, რათა გამოგესწორებინათ მირიანის დაშვებული შეცდომა ისე, რომ გერონტი დაგეცვათ თანაკლასელების დაცინვისგან.

_____

_____

(10 ქულა) 2. ***ქვემოთ მოცემულ წინადადებებში დაშვებულია 10 შეცდომა კუმშვადი, კვეცადი და კუმშვად-კვეცადი არსებითი სახელების დაწერილობაში. იპოვეთ შეცდომით დაწერილი სიტყვები და გადაიწერეთ სწორი ფორმით წინადადებების ბოლოს. ერთ წინადადებაში დაშვებულია მხოლოდ ერთი შეცდომა.***

1. მელამ ოფოფს უსაყვედურა, თავზე სავარცხელის გაკეთება როგორ გაბედეო.

_____

2. ბაბუ ძილის წინ საინტერესო ამბავის მოყოლით გვანებივრებს ხოლმე.

_____

3. ასტრიდის მშვენიერი ზღაპარის მთავარი გმირი პატარ ბიჭია.

_____

4. ბავშვები გაერთნენ ლამაზი პეპელას ყურებით.

_____

5. ლურჯი ზეცას ყურებით ვერ გაძღებოდა თვალი.

_____

6. ყვავილების ქოთნებისთვის მიწას მომარაგება ბაბუს ევალებოდა.

_____

7. თევზმა თქვა, პირი წყალითა მაქვს სავსეო.

_____

8. პატრონის დანახვით გახარებული ძაღლი ფანჯარისაკენ გაიქცა.

_____

9. თავის სარჩენად მაწონის ქილებს ყიდდნენ.

_____

10. გოგონას თავგადასავალის მოსმენა ყველაფერზე მეტად უყვარდა.

_____

**(4 ქულა) 3. დააწყვილეთ სინონიმები:**

| | |
|---|---|
| გულუხვი | მშვენიერი |
| გულთბილი | ხელგაშლილი |
| მომხიბლავი | უსაქმური |
| ზარმაცი | მოსიყვარულე |

1. _____

2. _____

3. _____

4. _____

**(4 ქულა) 4. დააწყვილეთ ანტონიმები:**

| | |
|---|---|
| ქება | იოლი |
| თამამი | ძაგება |
| გემრიელი | მორიდებული |
| რთული | უგემური |

1. _____

2. _____

3. _____

4. _____

**(2 ქულა) 5. შემოხაზეთ მყარი შესიტყვების სწორი განმარტება.**

**1. თვალი ზედ რჩება**

ა) ძალიან აბრაზებს.

ბ) ძალიან მოსწონს.

გ) ძალიან უყვარს.

**2. ხელს გაუმართავს**

ა) ხელს ატკენს.

ბ) ხელს გაუსწორებს.

გ) დაეხმარება.